ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ
26.08.11
ბრძანება № 3419
" 26 " 08 2011

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სამხრეთ ფარეხის ქუჩა №84-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით №01.13.06.004.019, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად, №12/104358-13 (16.08.11) განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

2011 წლის 16 აგვისტოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახურს №12/104358-13 განცხადებით მომართა "თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივი"-ს გამგეობის თავმჯდომარემ მზია ებრალიძემ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სამხრეთ ფარეხის ქუჩა №84-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განსახორციელებლად.

ქალაქ თბილისის მასშტაბით სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვის პრინციპებს არეგულირებს ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" №4-13 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილების მე-5 მუხლის თანახმად „თბილისის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვა ხორციელდება ამ წესებისა და მიწათსარგებლობის უფლებრივი ზონირების პრინციპებზე დამყარებული მიწათსარგებლობის დაგეგმვის ორსაფეხურიანი სისტემით:ა) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომლის ნაწილია დსახლების მთელი განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის ნაწილია თბილისის ტერიტორიის ნაწილებისათვის მიწათსარგებლობის უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა". მე-18 მუხლის მიხედვით უფლებრივი ზონირების განხორციელების მიზნით დედაქალაქის ტერიტორია იყოფა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გადაწყვეტების შესაბამის ზოგად ფუნქციურ ზონებად და განაშენიანების რეგულირების გეგმების გადაწყვეტების შესაბამის კონკრეტულ ფუნქციურ ზონებად (ქვეზონებად). ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გამოყოფილ ფუნქციურ ზონებს შორისაა **სატრანსპორტო ზონა 1,** ამ დადგენილების 19-ე მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით სატრანსპორტო ზონა 1 წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, დროებით ღია ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით),მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში- ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს).

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთები სამშენებლო საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით იყოფა სამშენებლო მიწის ნაკვეთად, სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთად და სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთად. აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლის მიხედვით **სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ში** მდებარე მიწა არის საშენებლოდ შეზღუდული სტატუსის მქონე.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ.(+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და შესაბამისი ზონირების რუკებიდან ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ითხოვს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, მდებარეობს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 52-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებისა:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უარი ეთქვას “თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივი”-ს გამგეობის თავმჯდომარეს მზია ებრალიძეს, ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სამხრეთ ფარეხის ქუჩა №84-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით №01.13.06.004.019, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად 2011 წლის 16 აგვისტოს №12/104358-13 განცხადების დაკმაყოფილებაზე;

2. ბრძანება გადაეგზავნოს მხარეებს;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში, მისამართი ჟ. შარტავას ქუჩა №7, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

სამსახურის უფროსი **არისი ბოჭოიძე**

თბილისის არქიტექტურა

08.12.10 № 12/138939-13

№ _____

მოქ. ნინო ლომინაძეს
მის: ქ. თბილისი, სტანისლავსკის №84
ტელ: 893 33-03-02, 893 33-03-02

ქალბატონო ნინო,

თქვენი 03.12.10 №12/138939-13 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ განცხადებაში აღნიშნული ტერიტორია (სტანისლავსკის №84), ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წ. №6-17-ის „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად განეკუთვნება **სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1),** რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში _ ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს) (იხ. დანართი).

ასევე გაცნობებთ, რომ მითითებული ტერიტორია მდებარეობს შეზღუდვის ზონაში, რომელიც წარმოადგენს ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის სხვადასხვა, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ტერიტორიებზე (**რკინიგზის ცენტრალური ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია**, გლდანის ტბის მიმდებარედ, თბილისის ზღვის მიმდებარედ, დიდი დიღომის მარცხენა მხარე, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდიდან ცოტნე დადიანის გამზირამდე, ლისის ტბის დასავლეთით, ინტენსიფიკაციის ქუჩის გასხვისების ზოლი, მოსკოვის პროსპექტსა და ბოგდან ხმელნიცკის ქუჩებს შორის, წავკისის და ტაბახმელას მიმდებარედ), მათ შორის განცხადებაში მითითებული ტერიტორიის მიმართებაშიც, მუშავდება განაშენიანების რეგულირების ე.წ. „ჩარჩო გეგმები“, რომლებიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიების ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს. ჩარჩო გეგმების დამუშავებისას გათვალისწინებულ იქნება ამ ტერიტორიაზე, მათ შორის განცხადებაში მითითებულ ტერიტორიაზე არსებული ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესი.

დამატებით გაცნობებთ, რომ ფუნქციური ზონებისა და შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო და შეგიძლიათ იხილოთ პორტალზე: www.tbilisi.gov.ge/ ჩანართი – თბილისის არქიტექტურა – ინტერაქტიური რუკა, http://urban.tbilisi.gov.ge/map/map.phtml

დანართი – 1 ფურცელი

ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნ. ადვაძე

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ.|+995 32| 72 22 22 ფაქს.|+995 32| 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect


საცხოვრებელი ზონა 6
(სზ-6)
სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
საცხოვრებელი ზონა 6
(სზ-6)
სამრეწველო ზონა
1 (ს-1)
97
12
84
91
87a
89
6
8
#

13.08.10 № 12/94445-13

თბილისის არქიტექტურა

№

მოქ: გივი ტურაშვილს

მის: ქ. თბილისი, სტანისლავსკის ქ. №84

ტელ: 893 98 18 72, 35 24 16

ბატონო გივი,

თქვენი **20.07.10 №12/94445-13** განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ **ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სტანისლავსკის ქ. №84-ში** არსებული მიწის ნაკვეთისათვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებას გაცნობებთ, რომ მოცემული საკითხი განიხილა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" 2010 წლის 28 ივლისის №29 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს მიეცა რეკომენდაცია წარმოდგენილი იქნეს განმეორებით, რკინიგზის ტერიტორიაზე ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების შემდგომ. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს. ასევე გაცნობებთ, რომ ამ დოკუმენტაციის ციფრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ პორტალზე: www.tbilisi.gov.ge/ ჩანართი – თბილისის არქიტექტურა და აგრეთვე www.tbilisi.gov.ge/architect/.

დანართი 1: "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" 2010 წლის 28 ივლისის №29 სხდომის ოქმიდან ამონარიდი.

პატივისცემით,

გეგმების მართვისა და ქალაქგეგმარების განყოფილების უფროსი ***ი. მურღულია***

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი № 29

ქ. თბილისი. 28 ივლისი, 2010 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე: არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი: კახაბერ ნიაური

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, დავით მახარობლიშვილი, გიორგი ტყემალაძე, ნიკოლოზ ჩხაიძე, გია აბულაძე.

მოწვეულები: ნ. ფარცხალაძე, მ. ბუჯიაშვილი, თ. მაჩალაძე, დ. ბაირამაშვილი, ნ. გობეჯიშვილი, ა. რაზმაძე, ალ. მგალობლიშვილი, ნ. გუგუტიშვილი, გ. შაიშმელაშვილი, ნ. ქისტაური, ნ. ხიზანიშვილი, გ. წერეთელი, მ. შენგელია, ბ. წაქაძე, ნ. ლომინაძე, გ. მურდალაშვილი, დ. ლეჟავა, მ. ჯოჯიშვილი, ა. ფავლენიშვილი, დ. შუღლიაშვილი, გ. ხარჩილავა, ს. ჩიჩუა, ვ. ონიკაშვილი, ც. ცერცვაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდი დიღმის IV მ/რ, №29 კორპუსის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ჩარჩო გეგმის შეთანხმებისა და ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – ნ. ფარცხალაძე).

2 ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კოჯრის ახალი ქუჩა №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის

23. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სტანისლავსკის ქ. №84-ში არსებული მიწის ნაკვეთისათვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – ნ. ლომინაძე, გ. მურდალაშვილი).

24. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკად. კოდი №81/21/06/119) 55 კვ.მ დამხმარე ნაგებობის განსათავსებლად, (დამხმარე ნაგებობა, ავტოფარეხი) სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

მომხსენებელი – ნ. გვენცაძე.

25. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მეგრელიძის ქ. №4-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

მომხსენებელი – ნ. გვენცაძე.

26. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, აბასთუმანის ქ. №8/19-ისა და თევდორე მღვდლის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული ტერიტორიისთვის, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – დ. ლეჟავა).

27. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ქსნის ქუჩაზე დიღმის ხიდთან მდებარე ავტოგასამართ სადგურთან არსებული ტერიტორიისთვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – მ. ჯოჯიშვილი).

28. ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, ტაბახმელაში, სოფ. წავკისში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკად. კოდი 81/02/13/553) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – ა. ფავლენიშვილი).

29. ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, ტაბახმელაში, სოფ. წავკისში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკად. კოდი 81/02/13/552) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – ა. ფავლენიშვილი).

30. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, იოსებიძის ქ. №22-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – დ. შულღიაშვილი).

22. ნ. გვენცაძის ინფორმაცია **ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კეკელიძის ქ. №32-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკად. კოდი №01/15/02/027/023)** ფუნქციური ზონის სტატუსის განსაზღვრის შესახებ.

შესაძლო ზონის სახეობა – საცხოვრებელი ზონა 5, სატრანსპორტო ზონა 1.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- განისაზღვროს სზ-5 და ტზ-1.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კეკელიძის ქ. №32-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკად. კოდი №01/15/02/027/023) ფუნქციური ზონის სტატუსის განსაზღვრას და განისაზღვროს საცხოვრებელი ზონა 5-ითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით.

2. გაეწიოს რეკომენდაცია ქ. თბილისის მერს წარუდგინოს ქ. თბილისის საკრებულოს განსახილველად საკითხი ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კეკელიძის ქ. №32-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკად. კოდი №01/15/02/027/023) ფუნქციური ზონის სტატუსის საცხოვრებელი ზონა 5-ითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით განსაზღვრის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

23. ნ. ლომინაძის ინფორმაცია **ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სტანისლავსკის ქ. №84-ში** არსებული მიწის ნაკვეთისათვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

განმცხადებელი – სტანისლავსკის №84-ის მაცხოვრებლები.
დადგენილი ზონის სახეობა – სატრანსპორტო ზონა 1.
მოთხოვნილი ზონის სახეობა –?

აზრი გამოთქვეს:

- განმეორებით იქნეს განხილული.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- შესაძლებელი იქნება ჩარჩო გეგმის დამუშავების შემდეგ.
- განმეორებით იქნეს განხილული.
- არ არის მისაღები.
- რკინიგზის ტერიტორიის გრგ-ს დამუშავების შემდგომ შესაძლებელია ამ კითხვის განხილვა.

1. საკითხი განმეორებით იქნეს განხილული ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სტანისლავსკის ქ. №84-ში არსებული მიწის ნაკვეთისათვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე.

2. რეკომენდაცია: რკინიგზის ტერიტორიის ჩარჩო გეგმის დამუშავების შემდეგ შესაძლებელი იქნება მოცემული ტერიტორიისთვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე: 4, წინააღმდეგი: 3.

24. ნ. გვენცაძის ინფორმაცია **ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკად. კოდი №81/21/06/119) 55 კვ.მ დამხმარე ნაგებობის განსათავსებლად (დამხმარე ნაგებობა, ავტოფარეხი),** სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – ნ. ქლიბაძე.
დადგენილი ზონის სახეობა – სატრანსპორტო ზონა 1, სარეკრეაციო ზონა 2.

აზრი გამოთქვეს:

- განმეორებით იქნეს განხილული.
- შესაძლებელია სპეცნებართვის გაცემა დროებით შენობაზე რზ 2-ის ზონაში, არსებული არხის გათვალისწინებით.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ჩარჩო გეგმის ფარგლებში.

უარი ეთქვას წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით სატრანსპორტო ზონა 1-ში ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკად. კოდი №81/21/06/119) 55 კვ.მ დამხმარე ნაგებობის განსათავსებლად (დამხმარე ნაგებობა, ავტოფარეხი), სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე.

რეკომენდაცია: მისაღებია მოცემულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი №81/21/06/119) 55კვ.მ დამხმარე ნაგებობის განსათავსება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) არეალში, რომლისთვისაც გაიცეს შესაბამისი სპეციალური ზონალური ნებართვა.

25. ნ. გვენცაძის ინფორმაცია **ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მეგრელიძის ქ. №4-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის** ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

განმცხადებელი – თ. ტაკიძე.
დადგენილი ზონის სახეობა – საცხოვრებელი ზონა 6.
მოთხოვნილი ზონის სახეობა – ზოგადი საცხოვრებელი ზონ

აზრი გამოთქვეს:

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

39. ნ. გვენცაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლება-3 IV მ/რ №419 კორპუსის მიმდებარედ არსებულ №02/030 მიწის ნაკვეთზე მდებარე უნივერსალური მაღაზიის (სასურსაო, აფთიაქი, თონე, სილამაზის სალონი) ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ა. ტარტარაშვილი.
დადგენილი პარამეტრები – **კ1=0,5.**
მოთხოვნილი პარამეტრები – **კ1=0,8.**

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლება-3. IV მ/რ №419 კორპუსის მიმდებარედ არსებულ №02/030 მიწის ნაკვეთზე მდებარე უნივერსალური მაღაზიისთვის (სასურსაო, აფთიაქი, თონე, სილამაზის სალონი) ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემაზე და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას.

2. აღნიშნული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს: **კ1=0,8.**

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე: **არისი ბოჭოიძე**

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი: **კახაბერ ნიაური**

13.07.10 № 12/86778-13

№

თბილისის არქიტექტურა

მოქ: ნანა ლომინაძეს

მის: ქ. თბილისი, სტანისლავსკის ქ. №84

ტელ: 893 98 18 72

ქალბატონო ნანა,

თქვენი **28.06.10 №12/86778-13** განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვდით **ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სტანისლავსკის ქ. №84-ში (ყოფ. სამხრეთ ფარეხი)** არსებული ტერიტორიისათვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებას გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი განიხილა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" 2010 წლის 30 ივნისი №25 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც ზონის ცვლილებას ეთქვა უარი.

ასევე გაცნობებთ, რომ ამ დოკუმენტაციის ციფრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ პორტალზე: www.tbilisi.gov.ge/ ჩანართი – თბილისის არქიტექტურა და აგრეთვე www.tbilisi.gov.ge/architect/.

დანართი: "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" 2010 წლის 30 ივნისი №25 სხდომის ოქმიდან ამონარიდი.

პატივისცემით,

გენგეგმის მართვისა და ქალაქგეგმარების განყოფილების უფროსი ***ი. მურღულია***

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ.|+995 32| 72 22 22 ფაქს |+995 32| 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი № 25

ქ. თბილისი. 30 ივნისი, 2010 წელი.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე: არისი ბოჭოიძე

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, კახაბერ ნიაური, დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, ნიკოლოზ ჩხაიძე, მანუჩარ მახათაძე, დავით გოგიჩაიშვილი.

მოწვეულები: ლ. ჩიქოვანი, გ. სულაბერიძე, ნ. ხოსრუაშვილი, გ. გვასალია, ალ. აბულაძე, ნ. დოჭვირი, ნ. ნაცვლიშვილი, გ. ცერცვაძე, კ. აბულაძე, ა. სურგილაძე, ლ. ხუხაშვილი, კ. ამირეჯიბი, შ. ლომიძე, ფ. მაღრაძე, პ. ქურდიანი, თ. შაიშმელაშვილი, ნ. ლომინაძე, ა. ლიპარტელიანი, ნ. ბესელია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში, არსებულ ტერიტორიაზე, (ნაკვ. №957) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ.

(მოწვეულები – ლ. ჩიქოვანი, გ. სულაბერიძე).

2. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ს.კედიას ქ. №10-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის, კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ.

(მოწვეული – ნ. ხოსრუაშვილი).

3. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვაშლიჯვარში, ვ. გოძიაშვილის ქ. №21-ში არსებულ ტერიტორიაზე, მრავალფუნქციური კომპლექსის, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ.

25. ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა წყნეთში არსებული მიწის ნაკვეთზე, (საკადასტრო კოდი №01/20/01/138/068) სასტუმროს დასაპროექტებლად და ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – პ. ქურდიანი, თ. შაიშმელაშვილი).

26. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ზემო ფონიჭალაში, ჟორდანიას ქ. №2-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის, (საკადასტრო კოდი №01/18/13/012/002) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

მომხსენებელი – ნ. გვენცაძე.

27. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, კ. სტანისლავსკის ქ. №84-ში (ყოფილი სამხრეთ ფარეხი) არსებული ტერიტორიისთვის, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – ნ. ლომინაძე).

28. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თეთრი ხევის დასახლება, სამგორის III შესახვევი №4 არსებული მიწის ნაკვეთისთვის, (საკადასტრო კოდი №01/19/10/039/006) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების (ტექნიკური ხარვეზი) შესახებ.

მომხსენებელი – ნ. გვენცაძე.

29. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ცხვედაძის ქ. №20ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის **(საკადასტრო კოდი №01/14/11/054/015)** ფუნქციური ზონის განსაზღვრის შესახებ.

(მოწვეული – ა. ლიპარტელიანი).

30. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბაგების ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი №№01/14/06/007/041, 01/14/06/007/042, 01/14/06/007/024) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, ფუნქციური ზონის სტატუსი ცვლილება.

(მოწვეული – ნ. ბესელია).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

1. ლ. ჩიქოვანის ინფორმაცია ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში, არსებულ ტერიტორიაზე, (ნაკვეთი №957) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ.

- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ზემო ფონიჭალაში, ჟორდანიას ქ. №2-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის, (საკადასტრო კოდი №01/18/13/012/002) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე.

2. გაეწიოს რეკომენდაცია ქ. თბილისის მერს წარუდგინოს ქ. თბილისის საკრებულოს განსახილოს საკითხი ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ზემო ფონიჭალაში, ჟორდანიას ქ. №2-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01/18/13/012/002) ზონის სახეობა საცხოვრებელი ზონა 6-ის, საცხოვრებელი ზონა 2-ით შეცვლის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

27. ნ. ლომინაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, კ. სტანისლავსკის ქ. №84-ში (ყოფილი სამხრეთ ფარეხი) არსებული ტერიტორიისთვის, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

განმცხადებელი – ნ. ლომინაძე.
დადგენილი ზონის სახეობა – სატრანსპორტო ზონა 1.
მოთხოვნილი ზონის სახეობა – ?

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. ამ ტერიტორიის განვითარება უნდა მოხდეს, მხოლოდ გენგეგმის განვითარების ფარგლებში.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, კ. სტანისლავსკის ქ. №84-ში (ყოფილი სამხრეთ ფარეხი) არსებული ტერიტორიისთვის, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე: 5, წინააღმდეგი: 1.

28. ნ. გვენცაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თეთრი ხევის დასახლება, სამგორის III შესახვევი №4 არსებული მიწის ნაკვეთისთვის, (საკადასტრო კოდი №01/19/10/039/006) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების (ტექნიკური ხარვეზი) შესახებ.

დადგენილი ზონის სახეობა – სატრანსპორტო ზონა 1.
მოთხოვნილი ზონის სახეობა – საცხოვრებელი ზონა 1.

აზრი გამოთქვეს:

№№01/14/06/007/041, 01/14/06/007/042, 01/14/06/007/024) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, ფუნქციური ზონის სტატუსი ცვლილება.

დადგენილი ზონის სახეობა – ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა.
შესაძლო ზონის სახეობა – საცხოვრებელი ზონა 6.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისარები.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.

1. უარი ეთქვას ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბაგების ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი №№01/14/06/007/041, 01/14/06/007/042, 01/14/06/007/024) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე.

2. რეკომენდაცია: საკითხის სირთულიდან გამომდინარე მიმდინარეობს სატყეო ფონდის მიწებთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის (განაშენიანების) შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი, რომ სამომავლოდ მოხდეს მისი გადაწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე: 5, წინააღმდეგი: 1.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **არისი ბოჭოიძე**

კომისიის აღმასრულებელი მდივანი **კახაბერ ნიაური**

25.12.09 № 12/97461-13

_____ № _____

თბილისის არქიტექტურა

მოქ: გიორგი მურდალაშვილს
მცხ: სამხრეთ ფარეხის ქ. №84-ში
ტელ. 877 288501

ბატონო გიორგი,

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2009 წლის 25 დეკემბერს შემოსული თქვენი №12/97461-13 განცხადების პასუხად, რომელითაც ითხოვთ ინფორმაციას ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სამხრეთ ფარეხის ქ. №84-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მოქმედი ფუნქციური ზონის შესახებ, გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის სხვადასხვა, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ტერიტორიებზე, მათ შორის განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაშიც მუშავდება განაშენიანების რეგულირების ე.წ. „ჩარჩო გეგმები“, რომლებიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიების ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს. ჩარჩო გეგმების დამუშავებისას გათვალისწინებულ იქნება ამ ტერიტორიაზე, მათ შორის განცხადებაში მითითებულ ტერიტორიაზე არსებული ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესი. დღევანდელი მდგომარეობით კი ის კონკრეტული პირობები, რომელსაც განმცხადებელი ითხოვს თავისი განცხადების პასუხად დადგენილი არ არის, რის გამოც მითითებული გეგმების დამუშავებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ქალაქთმშენებლობითი დასკვნა ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სამხრეთ ფარეხის ქ. №84-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე.

პატივისცემით,
ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის
სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების
პირობების დადგენის განყოფილების უფროსი ნ. გვენცაძე

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. მარტყოფის 7
ტელ.(+995 32) 72 22 22 ფაქს.(+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect